მარტი 2019, №14

ქვითელი ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ–ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

საქართველომ „ნატო-საქართველოს სნავლება 2019"-ს უმასპინძლა

გვ.2

ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში

გვ. 4

თავდაცვის ძალებში ორგანიზაციული კლიმატის კვლევა ჯანსაღი ორგანიზაციული გარემოს გაძლიერებას შეუწყობს ხელს

გვ. 9

გავხდები კარგი ოფიცერი, ისეთი, როგორიც თავდაცვის ძალებს სჭირდება

გვ. 10

„მე ვიმკურნალე საქართველოში"

გვ. 11

ნატოს სნავლებები რუსული პროპაგანდის ობიექტივში

გვ. 6

საქართველომ „ნატო-საქართველოს სწავლება 2019"-ს უმასპინძლა

ერთობლივი, მრავალეროვნული ბრიგადის დონის სამეთაურო - საშტაბო სწავლება, რომელსაც, ისტორიაში პირველად, საქართველოს თავდაცვის ძალები დაგეგმარებიდან აღსრულების პროცესის ჩათვლით ხელმძღვანელობდა



ზუსტად სამწლიანი ინტერვალის შემდეგ „ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივმა ცენტრმა" (JTEC) „ნატო-საქართველოს სწავლება 2019"-ს კვლავ უმასპინძლა. საქართველოს თავდაცვის ძალებისა და JTEC-ის წარმომადგენლების 18-თვიანი დაგეგმარების მარათონი 18 მარტს წარმატებით დასრულდა, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი, სწავლების აღსრულების პროცესი დაიწყო.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019"-ის ოფიციალური გახსნის ცერემონია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში" გაიმართა. სწავლება საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა, თავდაცვის ძალების მეთაურის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ და „ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის" (JFTC) მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ლადისლავ იუნგმა გახსნეს.

სამეთაურო-საშტაბო სწავლება JTEC-ში, 18 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის 350-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირი მონაწილეობდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ნატო-საქართველოს სწავლება 2019" პირველი ერთობლივი, მრავალეროვნული ბრიგადის დონის სამეთაურო საშტაბო სწავლება იყო, რომელსაც ისტორიაში პირველად, ალიანსის არაწევრი ქართული სახელმწიფოს თავდაცვის ძალები დაგეგმარებიდან აღსრულების პროცესის ჩათვლით ხელმძღვანელობდა.

ქართულ მხარეს მენტორობას ნატოს ტრანსფორმაციის სარდლობა (ACT), ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლობა (LANDCOM) და ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრი (JFTC) უწევდა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019" რიგით მეორე სწავლება იყო, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ჩატარდა - პაკეტი საქართველოს 2014 წელს უელსში გამართულ ნატოს სამიტზე მიენიჭა.

სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს, ალიანსის და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას. სწავლებამ ასევე გამოსცადა ალიანსის (Non Article 5) კრიზისებზე რეაგირების ყოველისმომცველი მიდგომა.

ნიშანდობლივია, რომ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები - „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი" (ICRC) და გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი (DPKO) - რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავებას.

2016 წელს ჩატარებული სწავლებისგან განსხვავებით ღონისძიება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. თუ წინა წვრთნებში 14 ქვეყანა მონაწილეობდა, წლევანდელ სწავლებაში, საქართველოს ჩათვლით, უკვე 24 სახელმწიფო იყო წარმოდგენილი (ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, აშშ, აზერბაიჯანი, საქართველო, შვედეთი).

10 დღის განმავლობაში წვრთნების მიმდინარეობას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად ნატოს გენერალური მდივანი და ალიანსის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე გაეცნენ. მთლიანობაში, ციფრები ყველაფერზე

ალიანსის ყველა წევრის, პარტნიორი ქვეყნებისა და ყველა იმ ადამიანის სახელით, ვინც დღეს თავის ქვეყანაში უფრო მშვიდობიანად ცხოვრობს, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ მიერ განეული სამსახურისთვის და იმ ყველაფრისთვის, რაც ალიანსისთვის გაკეთეთ

იენს სტოლტენბერგი
ნატოს გენერალური მდივანი

ნათლად მეტყველებს: 18-დან 29 მარტის ჩათვლით „ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივმა ცენტრმა“ 400-მდე სტუმარს უმასპინძლა. ვიზიტორების მსგავსი რაოდენობა მიუთითებს იმაზე, თუ რა სირთულის სამუშაოები ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

25 მარტს, JTEC-ში ვიზიტი ნატოს გენერალურმა მდივანმა სწავლების კონტროლის ცენტრის მონახულებით დაიწყო. იენს სტოლტენბერგს მთავარი მასპინძლობა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გაუწია. ნატოს პირველ პოლიტიკურ პირს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ სწავლების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მოგვიანებით ალიანსის გენმდივანი მრავალეროვნულ ბრიგადას ეწვია, სადაც სასწავლო აუდიტორიის დანიშნულებისა და მიზნების შესახებ გაცნობითი ბრიფინგი მოისმინა.

ღონისძიების ბოლოს იენს სტოლტენბერგი ქართველ დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა და გაესაუბრა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ის საჩვენებელ დღეზე JTEC-ს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და ნატოს „მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის“ მეთაურის მოადგილე, ადმირალი მანფრედ ნილსონი ეწვივნენ.

თავის მიმართვაში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ სწავლების მონაწილეებს გაწეული სამსახურისა და მიღწეული შედეგებისთვის მადლობა გადაუხადა. **„აღნიშნულ წარმატებას ჩვენ საერთო თანამონაწილეობითა და აღიარებით მივაღწიეთ. სწორედ დღევანდელი დღე ასახავს საუკეთესოდ იმ დინამიკას და პროგრესს, რომელიც საქართველოს აქვს ნატოში ინტეგრაციის გზაზე. ოთხი წლის წინ აღნიშნულ ცენტრში მნიშვნელოვანი რეფორმები დაიწყო და დღეს ჩვენ ერთად ვზეიმობთ დიდ წარმატებას, რომელსაც საერთო ძალისხმევით მივაღწიეთ“** - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

28 მარტს სწავლებას უკვე ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის მთავარი მარშალი სერ სტიუარტ პიჩი სტუმრობდა. ნატოს მთავარი სამხედრო პირის განცხადებით, საქართველოს შეუძლია ნატოს მხარდაჭერისა და მეგობრობის იმედი ჰქონდეს. **„ასეთი შთამბეჭდავი სწავლება დიდი ხნის განმავლობაში არ მინახავს. ნატო-საქართველოს 25 წლიანი თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს თავდაცვის ძალები ისეთ ქმედით და თავსებად ძალად ჩამოყალიბდა, როგორც არასდროს“.**

ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ ქართველი სამხედროების მიერ სწავლების დაგეგმარებისა და აღსრულების პროცესი დადებითად შეაფასა და მათდამი პატივისცემა გამოხატა. **„სწავლება მრავალეროვნულია და თან საკმაოდ რთული, თუმცა ქართველმა სამხედროებმა დასახულ ამოცანებს შესანიშნავად გაართვეს თავი. სწავლება მნიშვნელოვანია ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფართო კონტექსტშიც. მინდა იცოდეთ, რომ ნატო ძალიან აფასებს საქართველოს წვლილს ნატოს საპასუხო ძალებში, განსაკუთრებით კი, ურყევ მხარდაჭერას ნატოს ოპერაციების მიმართ. გაღებული მსხვერპლის მიუხედავად, საქართველო კვლავ განაგრძობს ნატოს გვერდით დგომას და ჩვენი ერთგული და ნამდვილი მეგობარია. ჩვენ ერთად ვმუშაობთ ჩვენი შესაძლებლობების განვითარებისთვის. ეს ჩემი პირველი, თუმცა ძალიან შთამბეჭდავი ვიზიტია საქართველოში. იმედი მაქვს, რომ კვლავ დავბრუნდები და ჩვენს პარტნიორობას კიდევ გავაძლიერებთ, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ალიანსისთვის, ისე საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის. ეს იყო შესანიშნავი შესაძლებლობა ჩემთვის და სამხედრო კომიტეტისთვის, ასევე ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ამ ვიზიტის განმავლობაში შევხვდით“** - განაცხადა სერ სტიუარტ პიჩმა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ ოფიციალურად 29 მარტს დასრულდა. სწავლების დახურვის საზეიმო ცერემონიალი ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, ნატოს სახმელეთო ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ჯონ ტომსონი და ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC) მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ლადისლავ იუნგი დაესწრნენ.

დახურვის ცერემონიალზე, ნატოს სახმელეთო ძალების მეთაურმა სწავლების მონაწილეებს წვრთნების წარმატებით დასრულება მიულოცა და ქართველ სამხედროებს გაწეული ძალისხმევისა და გუნდური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. **„სწავლების წარმატებით დასრულება ჩვენ უფრო ძლიერებად გვაქცევს. ისტორია კი გვასწავლის, რომ სიძლიერე წარმოადგენს აგრესიის მთავარ შემაკავებელ ფაქტორს“** - განაცხადა გენერალ-ლეიტენანტმა ჯონ ტომსონმა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ის დახურვის ცერემონიის დასასრულს დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. სწავლების მონაწილეებს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ და ნატოს სახმელეთო ძალების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ჯონ ტომსონმა სერტიფიკატები გადასცეს.

ნატო-საქართველოს მორიგი სწავლება „ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში“ 2022 წელს არის დაგეგმილი.

ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში

„ჩვენი ვიზიტი უწყვეტი მხარდაჭერის დემონსტრირებაა და ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რასაც ნატოს სამხედრო კომიტეტი ნატო-საქართველოს თანამშრომლობას ანიჭებს“

ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის მთავარი მარშალი, სერ სტიუარტ პიჩი

იმ ფაქტს, რომ საქართველოსა და ნატოს შორის 25-წლიანი თანამშრომლობა ასეთი ძლიერი, დინამიკური და მასშტაბური არასდროს ყოფილა, როგორიც დღეს არის და ალიანსი მზად არის საქართველოსთან პარტნიორობა გააღრმავოს, საქართველოში ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი ნათლად ადასტურებს.

27-28 მარტს ოფიციალურმა თბილისმა ნატოს სამხედრო კომიტეტს უკვე მესამედ უმასპინძლა. **„ჩვენი ვიზიტი უწყვეტი მხარდაჭერის დემონსტრირებაა და ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რასაც ნატოს სამხედრო კომიტეტი ნატო-საქართველოს თანამშრომლობას ანიჭებს,“** – ამ გზავნილით გახსნა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, ავიაციის მთავარმა მარშალმა სერ სტიუარტ პიჩმა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესმა სამხედრო ორგანომ საქართველოში ვიზიტი სასტუმრო „ბილტმორში“ ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომით დაიწყო, რომელიც სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, ავიაციის მთავარმა მარშალმა სერ სტიუარტ პიჩმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გახსნეს. სიტყვით გამოსვლისას ავიაციის მთავარმა მარშალმა ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიებში ქართველი მშვიდობისმყოფელების წვლილი ხაზგასმით აღნიშნა და განაცხადა, რომ საქართველო ნატოს ღირებული პარტნიორი და ნატოს ეგიდით წარმოებული ოპერაციებისა და მისიების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია: **„თქვენი სამხედროები მრავალი წელია ნატოს მხარდამხარ იბრძვიან. საქართველო ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანაა ავღანეთის „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში. ვინც ვყოფილვართ ავღანეთში, ვიცით, თუ როგორ პატივს სცემენ თქვენი სამხედროების პროფესიონალიზმსა და თავდადებას“.**

სესიაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ნატოს სამხედრო წარმომადგენლებს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები და ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში მიღწეული პროგრესი გააცნო. **„ნატოსთვის საქართველო კრიტიკულად მნიშვნელოვანი პარტნიორია, ნატო აღიარებს თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს, როგორც ძალიან შთამბეჭდავს. ნატოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკური მხარდაჭერის ფარგლებში, ჩვენ ეფექტურად ვიყენებთ თანამშრომლობის ყველა არსებულ მექანიზმს. საქართველო ნატოს ერთადერთი ასპირანტი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც სარგებლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო და უნიკალური მასშტაბის თანამშრომლობით, რაც ნათლად გამოიხატება საქართველოში ნატოს წარმომადგენლობის მასშტაბით“,** - აღნიშნა ლევან იზორიამ.

ნატოს უმაღლესმა სამხედრო წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა. **„ნატო მყარად რჩება აღებული ვალდებულების ერთგული, მხარი დაუჭიროს საქართველოს უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას. საქართველოს შეუძლია ნატოს მეგობრობისა და მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. ნატო სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ალიანსი მოუწოდებს რუსეთს უარი თქვას მათ აღიარებაზე და გაიყვანოს თავისი ძალები ორივე რეგიონიდან. ნატო მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას მშვიდობიანი გზით მოაგვაროს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კრიზისი და მიესალმება საქართველოს მიერ ბოლო წლებში რუსეთის მისამართით ცალმხრივად გადადგმულ ნაბიჯებს“,** - განაცხადა ავიაციის მთავარმა მარშალმა სერ სტიუარტ პიჩმა სხდომაზე.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში გამართულ სესიაზე ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მხრივ არსებულ ვითარებას გაეცნენ. მათ დეტალური ინფორმაცია მიიღეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების,

ნატოს ოპერაციებსა და სწავლებებში მონაწილეობის შესახებ. **„შავი ზღვის რეგიონში, რუსეთის სამხედრო გააქტიურების საპასუხოდ, ქართული სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის მომზადებით, საქართველოს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრისა და ნატოს საზღვაო სარდლობის თანამშრომლობით ალიანსმა, გააძლიერა საქართველოსთან ურთიერთობა საზღვაო სფეროში. ჩვენი ძალისხმევა არასდროს შეჩერებულა. 25-წლიანი პარტნიორობის განმავლობაში, ნატოსა და საქართველოს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ფართო სპექტრი განვითარდა, მათ შორის: ნატო-საქართველოს კომისია, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა და რა თქმა უნდა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), რომელიც სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეებზე 14 ინიციატივას მოიცავს, მიზნად საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, ნატოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და უსაფრთხოების მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას ისახავს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ის მიმართულებებია, რომლის საშუალებითაც ალიანსი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ნატოში წევრობისათვის მომზადებაში უწევს დახმარებას“,** - აღნიშნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესმა სამხედრო წარმომადგენელმა.

ნატოს სამხედრო კომიტეტის საქართველოში ვიზიტი „ნატო-საქართველოს სწავლებას 2019“ დაემთხვა. ვიზიტის მეორე დღეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო წარმომადგენლები ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს (JTEC) ესტუმრნენ და უშუალოდ გაეცნენ სწავლების მიმდინარეობას, რომლის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს, პირველად ისტორიაში, საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობდა.

საქართველოში ვიზიტისას ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები, სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის, ავიაციის მთავარი მარშალის სერ სტიუარტ პიჩის ხელმძღვანელობით, ვაზიანში საბრძოლო მომზადების ცენტრშიც (CTC) იმყოფებოდნენ, სადაც მათ ცენტრის (CTC) ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და მის შესაძლებლობებს გაეცნენ. ქართულმა მხარემ სტუმრებს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაც (GDRP) გააცნო, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით ხორციელდება და საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას ისახავს მიზნად. საქართველოს თავდაცვის ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 41-ე ბატალიონმა, რომელიც სწავლების წინამოსამზადებელ ფაზაზე იმყოფება, სტუმრებისთვის ოცეულის დონეზე საჩვენებელი სწავლება გამართა.

საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესი სამხედრო ორგანოს ვიზიტის შეჯამებისას, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ხაზგასმით აღნიშნა სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველომ ბოლო ორწელიწადნახევრის განმავლობაში თავდაცვის კუთხით დიდი რეფორმები გაატარა და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ნატოს სამხედრო კომიტეტი საქართველოს მესამედ სტუმრობს. უწყება ნატოს უმაღლეს სამხედრო ორგანოს წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექვემდებარება. სამხედრო კომიტეტი ადგენს ინსტრუქციებს ნატოს პოლიტიკური სტრუქტურებისათვის, სამხედრო სტრატეგიასთან დაკავშირებით და პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო საქმიანობაზე.

ნატოს სნავლებები რუსული პროპაგანდის ობიექტივში

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მტრული საინფორმაციო კამპანიების წარმოებისას მოწინააღმდეგე აკვირდება სამიზნე ობიექტის აქტივობებს შემდგომში საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოსაყენებლად. ამ მიზნით, მაღალი დონის პოლიტიკური ლიდერების გარკვეული განცხადებები, დადებული შეთანხმებები თუ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად გამოიყენება მტრული ნარატივის გასაძლიერებლად. ცხადია, ამ დროს მოვლენებსა და განცხადებებს უბრალოდ ამახინჯებენ ან კონტექსტს უცვლიან.

რუსული პროპაგანდისტული მედია საშუალებები ამ კუთხით ხშირად აკვირდებიან და „აშუქებენ“ ისეთ მოვლენას, როგორიცაა სამხედრო წვრთნები განურჩევლად იმისა, ის ეროვნულია თუ საერთაშორისო, საველე თუ სამეთაურო-საშტაბო და ასე შემდეგ. უახლოესი წარსულიდან სულ მცირე სამი - ერთი აშშ-ის[1], მეორე ნორვეგიისა[2] და მესამე საქართველოს შემთხვევა საკმარისია რათა მკაფიოდ დავინახოთ მტრული საინფორმაციო კამპანიის სისტემური მიდგომა, რომელიც ყველგან ერთ კონკრეტულ ნარატივს აძლიერებს, თითქოს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები რუსეთთან ომისთვის ემზადებიან.

2017 წლის იანვარში უკრაინის აღმოსავლეთში, დონეცკში რეგისტრირებულმა მედია საშუალებამ (Donbas News International) გაავრცელა ინფორმაცია თითქოს აშშ რუსეთის წინააღმდეგ 3,600 ტანკს აგზავნიდა ევროპაში. აღნიშნული ამბავი შემდგომ არაერთ კანადურ, ამერიკულ და რუსულ სააგენტოებზე გავრცელდა და ჯამში ის რამდენიმე ათეულმა ათასმა მომხმარებელმა ნახა. სინამდვილეში კი საქმე ეხებოდა აშშ-ის ერთ-ერთი სამხედრო ქვედანაყოფის როტაციას ევროპაში, სადაც მათ ოპერაცია Atlantic Resolve-ის ფარგლებში უნდა გაევლოთ მარშრუტი გერმანიიდან პოლონეთისკენ და შემდგომ ბალტიის ქვეყნებში. მოცემულ ქვედანაყოფს კი თან ახლდა 2000-მდე სატრანსპორტო საშუალება, რომელთაგან საბრძოლო ტანკი მხოლოდ 200-მდე იყო.

სამხედრო საკითხებში კარგად ჩახედული ადამიანი ადვილად მიხვდება პროპაგანდისტული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული რიცხვის აბსურდულობას, თუმცა მარტივი ინტერნეტ ძიებითაც შეიძლება ვნახოთ თუ რა მასშტაბის ტყუილთან და ასბურდთან გვაქვს საქმე: ერთ-ერთი ინტერნეტ გვერდის globalfirepower 2019 წლის მონაცემების თანახმად, აშშ-ის ძირითადი საბრძოლო ტანკების (MBT) რაოდენობა 6,287 ერთეულს შეადგენს. შესაბამისად, პროპაგანდისტულ საგენტოებს თუ დავუჯერებთ, გამოდის რომ აშშ-მა წვრთნებისთვის მისი სატანკო რესურსის დაახლოებით 60% ევროპაში ერთი როტაციით გადმოისროლა, რაც სრული აბსურდია და ტყუილია, თუმცა ცხადია რიცხვების აბსურდულობა გადამოწმების გარეშე ყველასთვის ცნობილი ვერ იქნებოდა. მეორე შემთხვევა კი უკავშირდება ცივი ომის შემდგომ, ნატოს ყველაზე მსხვილმასშტაბიან წვრთნებს ნორვეგიაში - Trident Juncture, რომელშიც ნატოს 31 წევრი და პარტნიორი ქვეყნის 50,000-მდე პერსონალი იღებდა მონაწილეობას. სწავლების მიზანს წარმოადგენდა ნატოს ტერიტორიებისა და მოსახლეობის დაცვის შესაძლებლობების შემოწმება, პოტენციური აგრესორის შეკავება და ალიანსის ურთიერთთავსებადობის ამაღლება. თუმცა სწავლების რეალური ამოცანების შესახებ სრულიად განსხვავებული ინფორმაცია გაავრცელა რუსულმა პროპაგანდისტულმა საშუალებებმა თითქოს სწავლება აგრესიული შინაარსის და რუსეთის საზღვრისკენ იყო მიმართული, როცა სწავლება თავდაცვითი ხასიათის და რუსეთის საზღვრიდან მინიმუმ 1000 კილომეტრით იყო დაშორებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების შესახებ ფოტომანიპულაციას მიმართა ერთ-ერთმა ქართულმა საინფორმაციო სააგენტომ, როდესაც გაავრცელა ინფორმაცია თითქოს ნორვეგიელები ნატოს სამხედრო

წვრთნებს აპროტესტებდნენ.[3] მოცემული ფოტო კი სინამდვილეში გადაღებულია პოლონეთში, 2016 წლის ზაფხულში, როდესაც ნატოს ვარშავის სამიტი იმართებოდა და პოლონელმა ანარქისტებმა მანიფესტაცია მოაწყვეს.

მესამე შემთხვევა კი „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ს ეხება, რომელიც მეორედ ჩატარდა და მართლაც უპრეცედენტო მნიშვნელობის იყო საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის - მას პირველად ხელმძღვანელობდა თავდაცვის ძალები სწავლების დაგეგმვიდან აღსრულების ფაზებამდე და მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა საქართველოს ჩათვლით 24 ქვეყანას მოიცავდა. სამეთაურო-საშტაბო სწავლების მიზანი ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლება, ასევე საქართველოს თავდაცვის ძალების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება იყო.

მოცემული სწავლება ცხადია არ დარჩენილა მტრული პროპაგანდისტული საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მიღმა. ეს განსაკუთრებით ეხება მედია საშუალება „სპუტნიკს“, რომელმაც არაერთი სტატია და ინტერვიუ მიუძღვნა აღნიშნულ სწავლებას. ერთ-ერთი მთავარი გზავნილი გახლდათ ის, თითქოს ამ სწავლებით ნატო ცდიდა საქართველოს ტერიტორიას სამომავლო სამხედრო მოქმედებებისთვის,[4] რაც სრული აბსურდია, რადგან სწავლების სცენარი სრულიად სხვა კონტინენტზე და გამოგონილ, ფიქტიურ სცენარზე იყო დაფუძნებული.

„სპუტნიკის“ მიერ სწავლების მიმდინარეობის პროცესში გამოქვეყნებულ სტატიებს თუ გადავხედავთ, მარტივად აღმოვაჩენთ ისეთ გზავნილებს, რომლებიც აძლიერებენ რუსულ ნარატივს ნატოში გაწევრიანების საგარეო პოლიტიკური ვექტორის სახიფათოობის, ნატოში გაწევრიანების უტოპიურობისა და საქართველოს რევანშისტული მიდგომების შესახებ, რაც პირდაპირ უპირისპირდება უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებს, ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე პოზიტიურ დინამიკასა და საქართველოს მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას.

ზემოთ მოცემული და სხვა მაგალითების კვლევის საფუძველზე, საკითხზე მომუშავე ექსპერტები გამოკვეთენ იმ მეთოდოლოგიას, რომელსაც პროპაგანდისტები წვრთნების თუ სხვა შემთხვევების დროს მიმართავენ. ის ოთხი ეტაპისგან შედგება:

1. (Distort) დამახინჯება - როდესაც მაგალითად სწავლების ოფიციალური მიზანი შეცვალეს;

КОНОВАЛОВ: НАТО РАССМАТРИВАЕТ ГРУЗИЮ КАК ТЕАТР ВОЕННЫХ ДЕЙСТВИЙ НА КАВКАЗЕ

2. (Dismiss) უარყოფა - როდესაც თანამშრომლობის გაზრდილი დინამიკისა და სამიტებზე საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივის შესახებ გამეორებული განცხადებების მიუხედავად, ნატოში გაწევრიანება მაინც უტოპიურ და შეუძლებელ ამოცანად არის წარმოდგენილი; 3. (Dismay) მუქარა - თითქოს საქართველოს პოლიტიკური ელიტა სასიკვდილო საგარეო პოლიტიკურ გზას დაადგა;

УЧЕНИЯ НАТО В ГРУЗИИ: СМЕРТЕЛЬНО ОПАСНЫЙ КУРС ГРУЗИНСКОЙ ЭЛИТЫ

4. (Distract) ყურადღების გადატანა - როდესაც სწავლების თემატიკის სრულიად სხვა, არარელევანტური საკითხით გადაფარვის მცდელობა ჰქონდა ერთ-ერთი ანალიტიკურ სტატიას ლუგარის ლაბორატორიის თემის გააქტიურებით.

США ПОДМЕНЯЮТ ПРОПАГАНДИСТСКИМИ АКЦИЯМИ ПРЕДМЕТНЫЙ РАЗГОВОР О ЛАБОРАТОРИИ ЛУГАРА

მოცემულ მეთოდოლოგიას ვხვდებით თითქმის ყველა ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, განურჩევლად ადგილმდებარეობისა და კონტექსტისა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პროპაგანდისტული მანქანის მოქმედებაზე ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც ნატოსთან თანამშრომლობენ და საკუთარ თავდაცვით შესაძლებლობებს ავითარებენ. **მთავარი მიზანი კი საერთაშორისო და შიდა აუდიტორიებში რუსეთის მსხვერპლის როლში წარმოჩენა და არარსებული საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმაციული დამუშავებაა.**

1. 3000 არარსებული ტანკი - https://medium.com/@DFRLab/three-thousand-fake-tanks-575410c4f64d

2. დეზინფორმაცია სწავლება “Trident Juncture” წინააღმდეგ - https://www.stopfake.org/en/putinatwar-disinformation-targets-trident-juncture/

3. ფოტომანიპულაცია - http://www.mythdetector.ge/en/myth/geworldge-uses-2016-photo-manifestation-poland-illustrate-developments-norway

4. ნატო საქართველოს სამხედრო მოქმედებებისთვის განიხილავს - https://sputnik-georgia.ru/radio/20190320/244721152/Konovalov-NATO-rassmatrivaet-Gruziyu-kak-teatr-voennykh-deystviy-na-Kavkaze.html

ინგა კვიციანის გზა აფხაზეთიდან თბილისამდე

„ეს იყო აუტანელი ტკივილი რომელსაც ვერ გადმოვცემ, ვერც ვივიწყებ... დავკარგე ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, ვერ ვეგუებოდი რეალობას რომ რომას ველარასდროს ვნახავდი, რომამ საკუთარი შვილის ნახვა ვერ მოასწრო...“-ასე იხსენებს ინგა კვიციანი მისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე წუთებს, როცა მეუღლის დაღუპვის შესახებ შეიტყო და ახალშობილთან ერთად ომის პირისპირ მარტო დარჩა.

ინგა კვიციანი დღეს თავდაცვის ძალების პერსონალის მართვის ცენტრის სერჟანტის პოზიციაზე მსახურობს. მას ჰყავს შვილი და ორი შვილიშვილი, დავითი და ვივიენ ლაბაძეები, თუმცა მისი გზა აფხაზეთიდან თბილისამდე შიშით, ტკივილით და ამავე დროს შეუპოვარი ბრძოლის მაგალითებით იყო სავსე...

„დავიბადე აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში. 1993 წელს დრანდის რუსული საშუალო სკოლა დავამთავრე. 1992 წელს დავოჯახდი. ჩემი მეუღლე რომეო გერლიანი იყო. ის აფხაზეთის ომში, ომის დაწყების დღიდან იბრძოდა. ყველა, ვინც კი იცნობდა რომას, დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს. რომა 24-ე ბრიგადის 23-ე ბატალიონში ირიცხებოდა, რომელიც ოჩამჩირის რაიონში იყო დისლოცირებული. ძალიან იშვიათად ვხედავდი. თვეში ერთხელ, ზოგჯერ ორ თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ცოტა ხნით, დაგვხედავდა, მიმიხუტებდა და უკან გარბოდა. ვემუდარებოდით, დარჩი, მოწესრიგდი, მოისვენე, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივეს გვპასუხობდა „ბიჭები მელოდებიან, ისინი იქ არიან და მე როგორ დავრჩე და დავისვენო?“ როცა გაიგო, რომ მამა გახდებოდა სიხარულისგან ცრემლები წამოუვიდა. როგორც უკვე გითხარით ძალიან იშვიათად ახერხებდა ჩვენს ნახვას, ამიტომ ვთხოვე და არც კი ვიცი როგორ, მაგრამ დავარწმუნე, რომ შტაბში წავეყვანე, იქ სადაც თვითონ მსახურობდა. ჩემთვის მთავარი იყო რომ რომასთან ერთად ვყოფილიყავი, ამიტომ ფეხმძიმემ ორი კვირა ყაზარმაში ვიცხოვრე. აქ ვნახე ჩვენი მეომრები, რომლებიც მზად იყვნენ, უანგაროდ ემსახურათ და თავი გაეწირათ სამშობლოსათვის. ყაზარმაში რომა ავად გახდა, მაღალი სიცხეები ჰქონდა, მაგრამ თანამებრძოლების მიტოვებაზე არც უფიქრია და სიცხიანი გარბოდა წინა ხაზზე. მისი მეთაური და მეგობრები ხშირად ამბობდნენ, რომ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ყველაზე საშიში დავალებების შესასრულებლად მიდიოდა. უშიშარი, თავდადებული და და უკომპრომისო იყო.

ასე გავიდა ერთი წელი... 1993 წლის აგვისტოს თვეში კი სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი დამთავრდა და ამოვისუნთქეთ. ყველანი ცოცხლები ვიყავით, სახლ-კარიც გადარჩა. რომა სახლში დაბრუნდა, ჩვენ ხელი მოვაწერეთ და ცოლი და ქმარი ოფიციალურად გავხდით. გვეგონა, რომ ომი დამთავრდა, ორ კვირაში კი ბავშვის დაბადებას ველოდებოდით. რომამ ნაწილში წასვლა გადაწყვიტა, რათა ჯარიდან წამოსულიყო „ახლა სულ თქვენთან ვიქნები, შვილი გვეყოლება და ოჯახს მივხედავო“. არ მინდოდა გაშვება, დარჩენას ვეხვეწებოდი, თუმცა არ გაჩერდა... იმ დამეს კი აფეთქების ხმა ისევ გაისმა, სროლები მთელი დამე გრძელდებოდა, ომი ისევ დაიწყო... მეორე დილით კი გავიგეთ, რომ მტერი უკვე სოხუმში იყო, გადაიკეტა გზა, რომელიც ოჩამჩირესთან გვაკავშირებდა. ამ დროს კი არაფერი ვიცოდი ჩემს მეუღლეზე - სად ან როგორ იყო. დაბომბვიდან მესამე დღეს ნაადრევი მშობიარობა დამეწყო. სამშობიარო, სადაც მიმიყვანეს განადგურებული იყო, ჩამსხვრეული ფანჯრები და დანგრეული კედლები... შვილი - ნატო, რომეოს ასული გერლიანი, დაჭრილი და გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეებით სავსე შენობაში გავაჩინე, სადაც მხოლოდ ერთი დღე გამაჩერეს. ვერ აღვწერ იმ შიშს, რასაც მაშინ ვგძნობდი... ერთი დღის ბავშვი მყავს ხელში და ამ დროს აეროპორტები, სახლები, ხიდები იბომბება...

მამამ სახლში მიმიყვანა, მაგრამ იქ უსაფრთხოდ არ ვიყავით. თოთო ბავშვით ხელში, სროლის ხმაზე სარდაფში ვიმალებოდით. ასეთ ვითარებაში გავიდა 10 დღე. არაფერი ვიცოდი ჩემს მეუღლეზე, არ ვიცოდი რა მექნა, როგორც დამეცვა ჩემი პატარა გოგო... ოჩამჩირესთან დამაკავშირებელი გზა ჩაკეტილი იყო, პატარა ბავშვის გამო სვანეთით გავლის გვეშინოდა. ამიტომ ზემო ფშავში, ბებიაჩემის სახლში წასვლა გადავწყვიტეთ, იმედი გვქონდა, რომ იქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებოდით, რომ რადაც შეიცვლებოდა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა, მაგრამ ისევ შევცდით. კარგად მახსოვს 27 სექტემბერის დილის 6 საათი იყო, როცა მეზობელი ბიჭი, თამაზ ხვინგია მოვარდა და გვითხრა, რომ მტერი ძალიან ახლოს იყო და ჩვენები უკან იხევდნენ.

მანქანაში ჩაგვსვა, დედა უარზე იყო მაგრამ დავითანხმეთ, რომ ჩენთან ერთად წამოსულიყო, მამა ჯიუტი იყო და სახლში დარჩა, დროც არ ითმენდა, გადარჩენისთვის სწრაფად უნდა გვემოქმედა... სვანეთისკენ წავედით, მაგრამ გულრიფშის ცენტრამდეც არ ვიყავით მისულები, როცა გაჩერებული მანქანების კოლონა შეგვხვდა, სვანეთის გზაც გადაკეტილი დაგვხვდა. ხალხი ყვიროდა თავს ვუშველოთ, უკან დავბრუნდეთო... ძალიან მძიმე წუთები იყო - პანიკა, შიში და იმის გააზრება, რომ ყველა გზა დაკეტილი იყო და არ ვიცოდით როგორ ან სად უნდა წავსულიყავით...

გეზი მდინარე კოდორისკენ ავიღეთ. ხიდი მტერს ჰქონდა აღებული, მაგრამ გავიგეთ, რომ ხალხი დიდი მანქანებით, მდინარის გადალახვას და კოდორის ტყეში შესვლას ცდილობდა. ჩვენმა მეზობელმა მდინარესთან მიგვიყვანა, აქაც საშინელი ვითარება

დაგვხდა. მდინარე ადიდებულიყო და ნაპირზე გადასვლა რთული აღმოჩნდა, ხალხი პანიკაში იყო. თამაზ ხვინგია (ჩვენი მეზობელი) იქ მყოფებს ეხვეწებოდა ეს ხალხი გამიყვანეო აქედან, ამ გოგოს 10 დღის ბავშვი ხელში ჰყავსო... თამაზი, ჩვენი გამცილებელი უკანასკნელად ვნახე იმ დღეს, მოგვიანებით გავიგე, რომ უკან დაბრუნებული ისიც და მისი ძმებიც მოკლეს. სიცოცხლის ბოლომდე მადლობელი ვიქნები ამ ბიჭის, მან სიკვდილს გადაგვარჩინა....

ბავშვებით, ქალებით და მოხუცებით სავსე დიდ მანქანაში ჩაგვსვეს. მდინარეში შევედით, მაგრამ წვიმის გამო წყალი უფრო ადიდდა. შორიდან ვუყურებდი და ვხედავდი როგორ წვალობდა ხალხი. ბევრი ვერ გადმოვიდა ნაპირზე... ჩვენმა მანქანამ, ხალხით სავსე რამდენიმე მსუბუქი მანქანა ამოიყვანა მდინარიდან. გზა გავაგრძელეთ, მაგრამ უსაფრთხოდ არც აქ ვიყავით, გავიგეთ, რომ ჩვენსავით მდინარეზე გადმოსული ერთი მანქანა ააფეთქეს. პერიოდულად სროლის ხმა ისმოდა, ბავშვებს ვაჩუმებდით, რომ მტერს მათი ტირილის ხმა არ გაეგო... მხოლოდ ღმერთის იმედად ვიყავით... როგორც იქნა გავაღწიეთ შედარებით მშვიდ გზაზე. მომეჩვენა, რომ ამ ადგილს ვიცნობდი, თითქოს აქ იყო ის ყაზარმა, სადაც ჩემი მეუღლე მსახურობდა და სადაც მასთან ერთად ორი კვირა გავატარე. მანქანა გავაჩერებინე და ბავშვთან ერთად ჩამოვედი. ხალხი გაოცებული მიყურებდა, მაგრამ ერთადერთი, რაც მინდოდა ჩემი მეუღლის პოვნა იყო, მან ხომ ისიც არ იცოდა, რომ შვილი გვყავდა... მთელი დღე მშიერი, მტვრიანი და დაღლილი დავდიოდი, ვერც ბავშვს ვაჭამე ვერაფერი. საღამო იყო უკვე, როცა დიდმა მანქანამ გამიჩერა, უცნობმა კაცმა დამიძახა, „შვილო სად მიდიხარ ასე მარტო, მიგიყვანო“. ამ კაცსაც სახლი მიუტოვებია, დედასთან ერთად იყო. ჩავჯექი მანქანაში და ოჩამჩირეში მიმიყვანა. რომ არა ეს ადამიანი ვინ ცის რა მოხდებოდა, რამდენი ხანი მომიწევდა მარტო, თოთო ბავშვთან ერთად სიარული...

ოჩამჩირეში დედაჩემი და ჩემი და რომ დავინახე ძალიან გამიხარდა. ყველანი

დედაჩემის ბიძაშვილის სახლში წავედით, ბავშვს ვაჭამე და მაშინვე რომას ძებნა გავაგრძელე. ყველას მის ადგილ-სამყოფელს ვეკითხებოდი, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს რომას ერთი ძმაკაცი შემხვდა, რომელმაც მითხრა, რომ რომა სავარაუდოდ ხაშურში (დასთან) წავიდა და ალბათ იქ დაგელოდებათო... გამიკვირდა, ვიცოდი უჩვენოდ ის არსად წავიდოდა და მაშინვე ეჭვი შემეპარა. ვიფიქრე დაჭრილი იყო და მიმალავდნენ, მაგრამ თურმე აქაც შევცდი... რომა იმ დღეს დაუსაფლავებიათ....

ამ ყველაფერთან ერთად იმ დამეს ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. მოსახლეობას ოჩამჩირის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. სოხუმი და გულრიფში უკვე აღებული იყო, დრო ისევ არ ითმენდა, ჩემი ერთადერთი მიზანი შვილის გადარჩენა იყო. რკინიგზის სადგურში სატვირთო მატარებლების ეშელონებში ჩაგვსვეს. პირდაპირ იატაკზე ვისხედით. რომა რომ გარდაცვლილი იყო მაშინ გავიგე, როცა ხაშურში ჩემი მული ვნახე, შავებში ჩაცმული იყო... ეს იყო აუტანელი ტკივილი, რომელსაც ვერ გადმოვცემ, ვერც ვივიწყებ... დავკარგე ადამიანი რომელიც საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, ვერ ვეგუებოდი რეალობას, რომ რომას ვედარასდროს ვნახავდი... ხაშურში ექვსი თვე გავატარეთ. ეს იყო გაჭირვების, შიმშილის, სიცივის და დიდი ტკივილის 6 თვე, ამ დროს გავიგე, რომ მამაჩემიც მოუკლავთ... მალე თბილისში მომიწია წამოსვლა. აქ ნათესავმა ბინა დაგვითმო. მთელს საქართველოს ძალიან უჭირდა და მათ შორის ჩვენც. დრო გადიოდა, ნატალიაც წამოიზარდა. ძალიან მინდოდა თავდაცვის ძალებში მუშაობა. სამსახურს ვეძებდი, როცა 2001 წელს აკადემიაში მუშაობა შემომთავაზეს, ასეთი მოულოდნელობა დიდი სიხარული იყო ჩემთვის.

პირველად როცა შემოვედი აკადემიაში, მახსოვს, მაშინვე შემიყვარდა იქაურობა და მეამაყებოდა, რომ ფორმა უნდა ჩამეცვა. ფიცი დავდე და რიგითი გავხდი. მას მერე ვმსახურობ საქართველოს თავდაცვის ძალებში. ვერც წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება ფორმის და ჯარის გარეშე. ეს არის საქმე რომლითაც ძალიან ვამაყობ“!

თავდაცვის ძალებში ორგანიზაციული კლიმატის კვლევა ჯანსაღი ორგანიზაციული გარემოს გაძლიერებას შეუწყობს ხელს

თანამედროვე სამყარო, გლობალიზაციის ფონზე, რომელიც სავსეა მულტინაციონალური და განსხვავებული ღირებულებებით, ორგანიზაციებს, როგორც დამსაქმებლებს, აიძულებს შექმნან და დაამკვიდრონ ისეთი გარემო, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე, ღირებულებებზე, ადათ-წესებზე, ტრადიციებზე, სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებზე, თანამშრომელთა განწყობებსა თუ აღქმებზე იქნება დაფუძნებული, აღნიშნული ასპექტების გათვალისწინება კი თავისთავად აყალიბებს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას და ქმნის ჰარმონიულ სამუშაო გარემოს, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების ეფექტური და ნაყოფიერი განხორციელება.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება ღირებულებების, რწმენისა და ქცევების იმ საერთო ნორმებს ქმნის, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლები, ერთმანეთში არეგულირებენ ადამიანურ ურთიერთობებს, მიუხედავად მათი მსგავსი თუ განსხვავებული აღქმებისა.

მოდერნიზაციის ეპოქაში, ფუნდამენტური და სწრაფი ტექნოლოგიური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებებისა და განვითარების ფონზე, რომელიც ზრდის ცნობიერებას, ინფორმაციულობას, მნიშვნელოვანია ისეთმა სტრუქტურამ, როგორიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალებია, გაითავისოს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები. ნებისმიერი უწყების მიზნები, მიიღწევა მაშინ, როდესაც ყალიბდება თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც არსებობს ჯანსაღი ორგანიზაციული გარემო, შემცირებულია დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებები და გაძლიერებულია ადამიანის უფლებების დაცვა. ამ გზაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავითარებს და ხელს უწყობს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნს, რომელიც ზემოაღნიშნულ პროცესებზეა დაფუძნებული. ასევე, ორიენტირებულია, დაცული იყოს ადამიანის უფლებები და კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობის, თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტური პრინციპები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2017 წლის 27 ნოემბერს დაიწყო პროექტი „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში: ორგანიზაციული კლიმატის შეფასება“. რომელიც ნატო-ს „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის პროექტის“ (თ შ შ როგრამმე) დაფინანსებით მიმდინარეობს და საქართველოს მთავრობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის თავდაცვის სამინისტროების ერთობლივ პროექტს წარმოადგენს. პროექტი ორწლიანია და გენდერული თანასწორობის ჭრილში, საქართველოს თავდაცვის ძალებში ორგანიზაციული კლიმატის კვლევის ჩატარებას ითვალისწინებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კვლევის ფორმატში შექმნილი „შეფასების სამუშაო ჯგუფის“, ნატოს ორგანიზაციული კლიმატის შეფასების ექსპერტებსა და კანადის, ირლანდიის, ესპანეთის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ინსტიტუციების წარმომადგენლებს შორის 2018 წელს, პროექტის ფარგლებში, სამი ძირითადი შეხვედრა ჩატარდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კვლევის ფორმატში შექმნილი შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრებმა ექსპერტებისგან მიიღეს რჩევები, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კლიმატის კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.
ორგანიზაციული კლიმატის კვლევა საქართველოს თავდაცვის ძალებში ემსახურება თანამშრომელთა, როგორც სამოქალაქო ასევე, სამხედრო მოსამსახურეების სამსახურისა და ერთმანეთისადმი დამოკიდებულების, განწყობის, მოტივაციის კვლევას. შესაბამისად, პრიორიტეტულია, კვლევის საფუძველზე, სიღრმისეულად გაანალიზდეს თუ რა იწვევს ან რა ახდენს ზეგავლენას სამუშაოს შესრულების ხარისხზე. ასევე, კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვანია უწყებამ სამუშაო პროცესში დაინახოს საერთო სურათი გენდერული (უ)თანასწორობის კლიმატის შესახებ. პროექტის მიზანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ორგანიზაციული კლიმატის კვლევების ჩატარებისთვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ბაზ შექამნა, რის საფუძველზეც, არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე კვლავ დაიგეგმება და განხორციელდება სხვადასხვა შინაარსის კვლევები, რათა უწყებამ სიღრმისეულად მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება და დროული რეაგირება, ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაძლიერებისა და უზრუნველყოფის მიზნით.

სწორედ ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და თანაბარი სამუშაო პირობების/შესაძლებლობების შექმნას ემსახურება თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბებული გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი, გენდერული მრჩევლების ინსტიტუტი, გენდერული თანასწორობის სტრატეგია (2014). აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან მოქმედებს მონაცემთა მართვის ახალი სისტემა, რომელიც ელექტრონულ რეჟიმში გენდერული ნიშნით, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის საშუალებას გვაძლევს. ამასთანავე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა თუ აღმოფხვრის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაზე, რომლის საფუძველზეც, სამხედრო მოსამსახურეთა სადისციპლინო წესდებაში შეტანილ იქნა სპეციალური მუხლი სექსუალური შევიწროების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეისათვის ქალები საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა 8%-ს, ხოლო სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საჯარო მოხელეთა დაახლოებით 50%-ს წარმოადგენენ. ასევე, სამინისტროს საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა 34% ქალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის პირველი მოადგილე ქალია და იგი გენერალ-მაიორის წოდებას ატარებს.

უწყება ორიენტირებულია განახორციელოს პრევენციული ხასიათის ქმედებები, რომელიც სამომავლოდ თავიდან აგვაცილებს უთანასწორობის შემთხვევებს. სწორედ, ამიტომ სამინისტროს ხელმძღვანელობა ცდილობს, ამ მიმართულებით პროაქტიულად აწარმოოს სხვადასხვა ხასიათის გამოკითხვები თუ კვლევები.

ამასთანავე, ორგანიზაციული კლიმატის კვლევა საქართველოს თავდაცვის ძალებში მნიშვნელოვნად აამაღლებს გენდერული ასპექტების მიმართ ცნობიერებას არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს, არამედ ქვეყნის მასშტაბით. მსგავსი ხასიათის კვლევები საზოგადოებას საშუალებას აძლევს ნათლად დაინახოს თანასწორუფლებიანობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და შესაბამისი სამუშაო გარემოს არსებობის მნიშვნელობა ადამიანებისთვის. სწორედ, მსგავსი მნიშვნელობების გაძლიერებას ემსახურება აღნიშნული პროექტი, რომელიც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე.

ჩვენ ვაშენებთ, ისეთ თავდაცვის ძალებს რომელიც თავისუფალია ყველანაირი ძალადობის, შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან, სადაც დაცულია ეთიკური ღირებულებები, მაღალია სამსახურის მოტივაცია და რომელიც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის სასურველი და საინტერესო ორგანიზაციაა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, თავდაცვის გენერალ–მაიორი ლელა ჩიქოვანი

„გავხდები კარგი ოფიცერი, ისეთი, როგორიც თავდაცვის ძალებს სჭირდება"

ბავშვობიდან ყველაზე დიდი ადგილი მის ცხოვრებაში მუსიკას ეკავა. ეუფლებოდა საოპერო ვოკალს და საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობდა მისი მოღვაწეობა ამ სფეროში. სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა და ბევრ კონკურსშიც მიუღწევია გამარჯვებისთვის. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურია სწავლა განაგრძო ამ მიმართულებით და ჩააბარო იქ, სადაც მოხვედრა ყველა ამ სფეროს წარმომადგენლის ოცნებაა, კონსერვატორიაში, მაგრამ აფხაზეთის ომის ვეტერანის ქალიშვილმა, თავისი ცხოვრება სხვა პროფესიას დაუკავშირა. ახალგაზრდა გოგონა, ნანა ქორიძე, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეოთხე კურსის იუნკერია. ამბობს, რომ გარკვეული გავლენა მის არჩევანზე მამის ფაქტორმა მოახდინა, თუმცა, ასევე, არ გამორიცხავს, რომ ამ ყველაფრის გარეშეც შესაძლოა იგივე არჩევანი გაეკეთებინა, რადგან ყოველთვის უნდოდა ხაზი გაესვა ქალის სიძლიერისთვის და სამხედრო სფეროში, რომელიც ყოველთვის გამორჩეულად მოსწონდა, მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ეხილა.

მის გადაწყვეტილებას არ მოელოდნენ არც მშობლები და არც მეგობრები. დედა შეზღუდვებზე ესაუბრებოდა, რომ ვერ მოახერხებდა ოჯახის ყოლას და შეზღუდული იქნებოდა მეგობრებთან ურთიერთობაშიც, თავად მეგობრებს კი, ნანა ამ სფეროში ვერ წარმოედგინათ, მაგრამ ის იმდენად მტკიცედ იყო თავის არჩევანში დარწმუნებული, რომ ვერანაირმა ფაქტორმა ვერ შეაჩერა, თავისი ცხოვრება დაუკავშირა სამხედრო სფეროს და საწყისი საბრძოლო მომზადების სამხედრო კურსიც ბევრ მამაკაცზე უკეთ გაიარა.

„ფიზიკურად ჩემთვის თავიდან ცოტა რთული იყო, იმიტომ რომ, როცა აქ ჩავაბარე, 2015 წელს, მაშინ სპორტთან შეხება საერთოდ არ მქონდა. მიჭირდა ფიზიკური ნორმატივების გავლა. ღამეც გვიწევდა სწავლებები და ცოტა რთული იყო. თანაც, ცოტა ჯანმრთელობის პრობლემებიც იქმნება თავიდან, დატვირთვის გამო. თუმცა ჩემს თავს ვაძალებდი და არ-

ასოდეს მიფიქრია, რომ ამას ვერ გავაკეთებდი, ან აქედან უნდა წავსულვიყავი. ბუნებით საკმაოდ ძლიერი ვარ, ის მიზანი არ დავკარგო, რაც მაქვს. ასე რომ, მგონია, რომ კარგად გავართვი თავი".

დღესდღეობით, ახალგაზრდა იუნკერი აკადემიის ბენდის ხელმძღვანელია. მღერის და სხვადასხვა კონკურსებში აქტიურად მონაწილეობს. თვლის, რომ თავდაცვის აკადემია ის ადგილია, სადაც არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. მაქსიმალურად, ყველა ახერხებს თავისი თავის განვითარებას, ხაზს უსვამს პროფესიული სწავლის მაღალ დონეს და ამასთანავე აღნიშნავს, რომ აქ ადამიანს საშუალება ეძლევა თავისი თავი იპოვოს სხვადასხვა სპორტისა თუ ხელოვნების სახეობებში.

„აკადემიაში აუცილებლად იპოვი შენს თავს. ნებისმიერ სახეობაში ყველანაირი შესაძლებლობაა. ზოგი თავის თავს მუსიკაში პოულობს, ზოგიც სპორტში: ჭადრაკი, ხატვა, ცურვა და სხვა... სატრენაჟორო დარბაზი გვაქვს ისეთი კარგი, ანალოგი თუ აქვს საქართველოში არ ვიცი".

ნანა აღნიშნავს იმასაც, რომ თავდაცვის აკადემია მეგობრების შესაძენად საუკეთესო ადგილია, რადგან ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა, მათთან ერთად ცხოვრება, საშუალებას გაძლევს კარგად გაიცნო ისინი.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის აკადემიაში სწავლა 100%-ით ფინანსდება თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფოს მიერ. ის არის საუკეთესო ადგილი, სადაც შეგიძლია მაღალი დონის განათლება მიიღო. იუნკერები ყოველთვიურად სტიპენდიასაც იღებენ. ამასთან, აკადემია მათ საყოფაცხოვრებო საშუალებებით უზრუნველყოფს.

ნანამ, მეორე კურსის შემდეგ, „თავდაცვისა და უსაფრთხობის", მიმართულება აირჩია. მისი თქმით, ეს არის ერთადერთი პროგრამა საქართველოში, რომელსაც ანალოგი არ აქვს. ფიქრობს, რომ აქ მიღებულ ცოდნას მომავალში, პროფესიული განვითარების გზაზე გამოიყენებს.

იუნკერს ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი სამომავლო გეგმები აქვს. გარდა იმისა, რომ მისი ოცნებაა იყოს 4 შვილის დედა, სურს, რომ სწავლა მაგისტრატურაზე განაგრძოს. გეგმავს საზღვარგარეთ სწავლას და სამხედრო კურსის გავლას. სათანადო გამოცდილებისა და განათლების მიღების შემდეგ კი, ის იქნება ძლიერი, მოტივირებული, მიზანდასახული ქალის მაგალითი ყველასთვის, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნის თავდაცვის ძალებს მოახმარს.

„მე ვიმკურნალე საქართველოში"

გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი ახალ პროექტს იწყებს

„მე ვიმკურნალე საქართველოში"- ამ სახელწოდებით გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში, ახალი ონკოლოგიური პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში, მათ ოჯახის წევრებსა და შიდა ქართლის მოსახლეობაში ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევების დროული იდენტიფიცირება და მათი კვალიფიციური მკურნალობა. პროექტის ხელმძღვანელია, ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიის დარგში - ილია გოცაძე.

პროექტის ფარგლებში იგეგმება რისკ ჯგუფში მყოფი საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და შიდა ქართლის მოსახლეობის სამხედრო ჰოსპიტალში დიაგნოსტირება და წინასწარი ჩაწერა მედიცინის დოქტორ - ილია გოცაძესთან კონსულტაციაზე, ასევე, საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით მოხდება უკვე იდენტიფიცირებული პაციენტებისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. 2017 წელს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდა 317 ონკოლოგიური პაციენტი, ხოლო 2018 წლის 6 თვის მონაცემებით კი 114 პაციენტი.

პროექტის შედეგად შიდა ქართლში მცხოვრები სიმსივნით დაავადებული პაციენტები შეძლებენ დროულად და ნაკლები დანახარჯებით ჩაიტარონ ყველა საჭირო პროცედურა, რაც გაზრდის დადებითი შედეგების მიღების ალბათობას. სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის ბატონი დავით ბარლიანის განცხადებით „მე ვიმკურნალე საქართველოში" ისევე როგორც სამხედრო ჰოსპიტალის ყველა სხვა სერვისი მორგებული იქნება საქართველოს თავდაცვის სტრუქტურაში დასაქმებულებზე, მათი ოჯახის წევრებზე, სამხედრო პენსიონერებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სამხედრო ჰოსპიტალის, როგორც ერთ-ერთი საიმედო კლინიკის იმიჯის განმტკიცებას და დადებით გავლენას მოახდენს რეგიონში კიბოს მკურნალობის დინამიკაზე".

„პროექტი იქნება თვისობრივად განსხვავებული მსგავსი სახის ყველა სხვა ინიციატივისაგან, რადგან ის იქნება შედეგზე ორიენტირებული, მიზანი არა პაციენტების დიდი რაოდენობის მოზიდვაა, არამედ მათი სწორი დიაგნოსტირება და დაკვალიანება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისათვის. დიაგნოსტირება მოხდება არა მხოლოდ სამხედრო ჰოსპიტალის მიერ, არამედ იმ საერთაშორისო ქსელის გამოყენებით, რომლის წევრიც თავად გახლავართ." - აცხადებს პროფესორი ილია გოცაძე. მისი თქმით: „სამხედრო ჰოსპიტალში შექმნილია ყველა პირობა, აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. არსებული თანამედროვე აპარატურა დაეხმარება რადიოლოგებს ზუსტი დიაგნოზის დასმაში, რაც, თავის მხრივ, ონკო-ქირურგებისათვის იქნება კარგი გზამკვლევი, ოპერაციის ტაქტიკის დასაგეგმად. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, ისე, შიდა ქართლის მოსახლეობისთვის. ისინი ადგილზე მიიღებენ მაღალკვალიფიციურ დახმარებას და სამხედრო ჰოსპიტალში კონსულტაციის შემდეგ ზუსტ დიაგნოზთან ერთად დასახული ექნებათ მკურნალობის გაგრძელების კონკრეტული გზები".

„ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა" საქართველოს თავდაცვის ძალებში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეების „ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელება 2018 წელს დაიწო. პროგრამა საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. 2018 წლის თებერვალში სამხედრო მოსამსახურეების „ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის" დოკუმენტზე ხელი თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდამჭერი სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მაიკლ ლიპერმა მოაწერეს. პროგრამის მიზანია საერთაშორისო მისიებში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებზე ზრუნვა, კრიზისულ სიტუაციებში მათი მხარდაჭერა და მათთვის სხვადასხვა უნარების განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამა ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებთან შეხვედრებს, სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოწყობას, რაც თავისთავად დაკავშირებულია როგორც ადამიანურ, ასევე მატერიალურ რესურსებთან. სწორედ ამიტომ, პროგრამის სრულყოფილი მუშაობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა უწყებათაშორის დონეზე - სამთავრობო, მუნიციპალური და არასამთავრობო სექტორის აქტიური მხარდაჭერა. პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით, ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის სხვადასხვა სახის ბენეფიტების მოძიებასა და ქართული ჯარის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ოჯახის მხარდაჭერის პროგრამას ანალოგი ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში აქვს. ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა წარმატებით მუშაობს ქვეყნებში - აშშ, კანადა, დიდ ბრიტანეთი, გერმანია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლიტვა, პოლონეთი, ნორვეგია, შვედეთი. პროგრამა ყველა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, მაგრამ შინაარსობრივად ერთია. ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის ისტორია 1983 წლიდან იწყება, როდესაც **ამერიკის შეერთებულ შტატებში** სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსმა, ჯონ უიკემ ჯუნიორმა გამოაქვეყნა "თეთრი წიგნი" - სახმელეთო ჯარების ოჯახების, მათი როლისა და მნიშვნელობის აღიარების შესახებ. 1984 წელს სახმელეთო ჯარების ოჯახის სამოქმედო გეგმაში კონცეფციის ინსტიტუციონალიზაცია მოხდა, რომლის მიხედვითაც სახმელეთო ჯარების მეუღლეების მსოფლიო წარმომადგენლობის მიერ უნდა მომხდარიყო პრობლემათა იდენტიფიცირება, რათა სახმელეთო ჯარებს მოეგვარებინა ისინი. სინას მთის მიმდებარე უდაბნოში დისლოცირებული ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეთა მეუღლეებმა 1980-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბეს ოჯახის მხარდაჭერის ჯგუფები და მოახდინეს ერთმანეთის დასახმარებლად ამ ჯგუფების ორგანიზება.

რაც შეეხება საქართველოს, 2018 წლის თებერვალში თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდამჭერი სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა, მაიკლ ლიპერმა ხელი მოაწერეს „ოჯახების მზადყოფნის პროგრამის" დოკუმენტს. ამ დოკუმენტის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 16 თებერვლის 00115 ბრძანების საფუძველზე, ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების მხარდაჭერის პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, გენერალური შტაბის J1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წარმომადგენლები და გენერალური შტაბის მმართველობის შეიარაღებული ძალების მთავარი მოძღვარი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაალ კაპანაძე. სწორედ ამ დროიდან დაიწყო პროგრამის ქართულ რეალობაზე მორგების პროცესი.

ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია მოიცვას საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა მოქმედი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები. ვინაიდან პროგრამის ქართული ანალოგის შექმნა და პროგრამის სრულყოფილი ამუშავება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან და რესურსებთან, პროგრამა ეტაპობრივად იმუშავებს სამხედრო მოსამსახურეებთან და მათ ოჯახებთან. საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან

პრიორიტეტს წარმოადგენს სამშვიდობო მისიები, შესაბამისად, ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის ზოგადი არსიც სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების მხარდაჭერაა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისათვის გამართული სპორტულ-შემეცნებითი ღონისძიება „მხიარული სტარტები" და დასავლეთ სარდლობის სამხედრო მოსამსახურეების შვილებისათვის სპორტულ-შემეცნებითი ღონისძიება „მომავლის ჯარისკაცები".

ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის საინიციატივო ჯგუფის წევრების ურთიერშეთანხმების შედეგად, საპილოტედ არჩეულ იქნა მე-4 ბრიგადა, სადაც პროგრამა მომავალში უკვე სრულყოფილად ამოქმედდება.

მისია შესრულებულია

საქართველოს თავდაცვის ძალების II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონი სამშვიდობო მისიის ფინალში გავიდა. ბატალიონი 7 თვის მანძილზე ბაგრამის საავიაციო ბაზის ძალთა უსაფრთხოების დაცვის ამოცანებს ასრულებდა. მაღე ეს ქვედანაყოფი ფუნქცია-მოვალეობებს IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონს გადააბარებს და საქართველოში დაბრუნდება. ბატალიონის ხელმძღვანელთან ერთად ვეცადეთ ქართველი სამხედროების საქმიანობა გაგვეცნო თქვენთვის.

22-ე ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა საქართველოს თავდაცვის ძალებს 1999 წელს შეუერთდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან თავდაცვის აკადემიაში განაგრძო სწავლა. მოგვიანებით კი, გერმანიაში, ბუნდესვერის სასწავლებელში მიიღო განათლება. გერმანიიდან დაბრუნებული ჯერ სერჟანტთა სკოლაში, შემდეგ კი სხვადასხვა ქვედანაყოფში მსახურობდა. მუშაობდა ეროვნულ თავდაცვის აკადემიაშიც და 2017 წლის აგვისტოდან უკვე საქართველოს თავდაცვის ძალების II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონს ხელმძღვანელობს.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა: „ავღანეთისთვის 22-ე ბატალიონმა მომზადება აპრილიდან ივლისის ბოლომდე კრწანისში გაიარა, შემდეგ გერმანიაში ვიყავით, დაახლოებით, ერთი თვე. სწორედ გერმანიაში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ წმინდა სამხედრო ტექნიკის შესრულების მაღალი ხარისხის გარდა, ბატალიონი სამხედრო-სამოქალაქო ოპერაციების ძალიან კარგად შესრულებითაც გამოირჩევა“.

ბატალიონს, როგორც წესი, ამერიკელი საზღვაო ქვეითები ემაგრებიან. საზღვაო ქვეითების როლი ქართველი სამხედროების მხარდაჭერაა. ისინი საქართველოსა და აშშ-ის სხვა საჯარისო ნაწილებს შორის ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ.

მაიორი რიჩარდ ბეითსი: „საზღვაო ქვეითების ჯგუფის უფროსია. ის სწორედ ქართულ სამეკავშირეო ჯგუფს ლიდერობს (Georgian Liaison Team). საზღვაო ქვეითებს 2007 წელს შეუერთდა და უკვე მესამედ არის ავღანეთში. პირველად 2010 წელს ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. ამ დროს ქართველების შესახებ მას ინფორმაცია უკვე ჰქონდა, რადგან ჰელმანდში საქართველოს თავდაცვის ძალები ძალიან მნიშვნელოვან ოპერაციებს ახორციელებდა.

მაიორი რიჩარდ ბეითსი: „ქართველებზე და მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია რა თქმა უნდა, მქონდა. სამსახურეობრივად მაშინ არ შევხვედრივარ ქართველებს, თუმცა მოსმენილი მქონდა, რომ კარგი მებრძოლები ხართ. რაც შეეხება მესამე მისიას, მიხარია, რომ 22-ე ბატალიონთან მოვხვდი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძალიან მეგობრული ხალხი შემხვდა, ასევე კარგად მახსენდება აქ წამოსვლამდე საქართველოში გატარებული დღეები. გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით თქვენს კულტურასა და ხასიათს“.

22-ე ბატალიონი და ამერიკელი საზღვაო ქვეითები ერთობლივად გადიოდნენ მომზადებას. მომზადება იყო კომპლექსური და საფუძვლიანი. როგორც ვიცე-პოლკოვნიკი პაპავა აღნიშნავს, ავღანეთში 22-ე ბატალიონი მისიისთვის სრულიად მზად ჩამოვიდა.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა: „როდესაც მისიას ჩაიბარებ და ახალია ეს შენთვის, ყოველთვის არის გარკვეული სირთულეები. დროთა განმავლობაში სიახლეები ემატება, ახალი ასპექტები ჩნდება. იცვლება თვითონ ოპერატიული გარემოც“.

22-ე ბატალიონი ავღანეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ბაგრამის საავიაციო ბაზისა და მისი ძალთა უსაფრთხოების დაცვის ამოცანებს აპრილის ბოლომდე შეასრულებს. ბაგრამის საავიაციო ბაზა, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობზეა გადაჭიმული, სწორედ ამ მაღალი მნიშვნელობის გამო არაერთხელ გამხდარა მოწინააღმდეგის სამიზნე. ბაზაზე დისლოცირებული სამხედროები სხვადასხვა პროგრამაში არიან ჩართულნი. „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მთავარი დანიშნულება ადგილობრივი, ავღანური ძალებისთვის უსაფრთხოების კონტროლის გადაბარება წარმოადგენს. კოალიცია ეხმარება ავღანეთს თავად შეძლონ უსაფრთხოების შენარჩუნება. ძალიან დიდია ქართველი ჯარისკაცების როლი, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ობიექტს, ბაგრამის საავიაციო ბაზას იცავენ.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა: „ეს ბაზა, როგორც მოგეხსენებათ, მოწინააღმდეგის სამიზნე განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში ხდება. ჩვენს ქვედანაყოფს აქ ყოფნა სხვადასხვა დღესასწაულზე მოუწია. შობა, ახალი წელი და ასე შემდეგ, ამ დროს ძალიან დიდია საფრთხე. მეთაურიდან დაწყებული რიგით ჯარისკაცამდე, ყველანი ჩართულები ვიყავით ბაზის უსაფრთხოების საქმეში. ყველა ზედმიწევნით სანიმუშოდ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რათა ბაზის დაცვის საკითხები გამკაცრებულიყო, მოწინააღმდეგეს არ ჰქონოდა სადმე, რაღაც კუთხით პერიმეტრის გარღვევისა და ბაზაზე იერიშის მიტანის საშუალება.

ასევე, ჩვენი მნიშვნელოვანი წარმატება იყო პარტნიორ ავღანეთის ეროვნულ არმიასთან ნაყოფიერი მუშაობა. ჩავატარეთ, რამდენიმე ერთობლივი ჰუმანიტარული ოპერაცია. ადგილობრივ ძალებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და ეს ბაზის ხელმძღვანელობამ არაერთხელ აღნიშნა. ავღანელებთან ერთად თავდაპირველად ერთობლივი პატრულებიც გვქონდა, თუმცა შემდეგ ამოცანა შეიცალა და პატრულირებები შეჩერდა. ამ ეტაპზე ავღანური ქვედანაყოფები ჩვენი დავალებებით, მითითებებითა და რეკომენდაციებით მოქმედებენ. ჩვენი

ოცეულის მეთაური მათ დისტანციურად მართავს. პრინციპში, „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მიზანიც ეს არის, რომ კოალიციამ ავღანური ძალები უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მოამზადოს. მათ უნდა შეძლონ პატრულირება თუ სხვა ნებისმიერი ოპერაციის დამოუკიდებლად ჩატარება. სხვათა შორის ძალიან დიდი პროგრესი შეიმჩნევა ავღანურ ჯარშიც. ქართულ ქვედანაყოფს ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ კუთხით.

ბაზაზე სადაც უამრავი სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცია თავმოყრილი, ქართველები მართლაც რომ გამოირჩევიან. აქ უნდა გამოვყოთ სამხედრო მომზადება და დისციპლინა. ქართველებთან ყველაზე ახლოს მყოფი, საზღვაო ქვეითების სამეკავშირეო ჯგუფი, ყველაზე ნათლად ხედავს ქართველების კვალიფიკაციას, რადგან სამხედრო ოპერაციები აქ კომბინირებულია და საზღვაო ქვეითებთან ერთად ხორციელდება.

მაიორი რიჩარდ ბეითსი: „პირველი რაც უნდა ვთქვა ის არის, რომ ქართველების სამხედრო შესაძლებლობები საკმაოდ მაღალია. ერთობლივი სწავლებების დროს გამოჩნდა, რომ არ გვიძნელდება კოორდინირებული მოქმედება. აღვნიშნავ მათ მიერ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის შესრულების ტექნიკას. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ 22-ე ბატალიონში თითოეულ სამხედროს კარგი გამოცდილება აქვს. ჩვენც ვცდილობთ, რომ გავუზიაროთ ჩვენი კვალიფიკაცია და 22-ე ბატალიონი კიდევ უფრო უკეთესი გახდეს. თუმცა ქართველი სამხედროები მხოლოდ ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან არ მეგობრობენ“.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა: „ზოგადად, ჩემი მიზანი იყო ის, რომ ტაქტიკურ დონეზე ამოცანების შესრულების გარდა პარტნიორი ქვეყნის სამხედროებთან მეგობრული და ჯანსაღი ურთიერთობა ჩამოგვეყალიბებინა. ეს გამოგვივიდა კიდეც. მაგალითად ჩეხები. ისინი ჩვენს ტაქტიკურ დაჯგუფებაში არიან და ბაზის დაცვის ამოცანებს ერთად ვასრულებთ. მათთან განსაკუთრებულად ვმეგობრობთ. ხშირად გვაქვს ერთობლივი სპორტული ღონისძიებები, სადაც ჯარისკაცები ერთმანეთს ეცნობიან. იყო რამდენჯერმე შემთხვევა, როდესაც ჩვენმა ჯარისკაცმა ჩეხი სამხედროს კუთვნილი საფულე იპოვა საკმაოდ სოლიდური თანხით და პატრონს დაუბრუნა. ეს ჩეხების მეთაურმა გულთან ძალიან ახლოს მიიტანა. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე მოხდა და ქართველი სამხედროების კეთილსინდისიერება მთელს ბაზაზე გახდა ცნობილი. აქ ერთი ოჯახივით ვართ. ჩეხებთან ერთად ვატარებთ საცეცხლე მომზადებას, სხვადასხვა სწავლებას და ამ ყველაფერმა ისე იმოქმედა ურთიერთობებზე, რომ როდესაც ჩეხი და ქართველი ერთმანეთს ხვდებიან - ჩეხი ქართულად ესალმება და ქართველი კი ჩეხურად“.

მაიორი რიჩარდ ბეითსი: „დიახ, 22-ე ბატალიონის სამხედროები ძალიან მეგობრულები არიან. ამ პერიოდმა შესაძლებლობა მოგვცა, რომ 22-ე ბატალიონი კარგად გაგვეცნო. მეც იმედი მაქვს ახლო მომავალში საქართველოს უკვე ტურისტის რანგში ვესტუმრები. მაინტერესებს დასავლეთ საქართველო, ბათუმი, ზღვისპირეთი. საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა. მიუხედავად სხვადასხვა ენისა, ერთად სამსახური არ გაგვჭირვებია. ბევრმა ქართველმა სამხედრომ ინგლისური ძალიან კარგად იცის. ენის ბარიერის პრობლემა საერთოდ არ გვქონია. ჩვენც ვისწავლეთ ქართული. მაგალითად, საზღვაო ქვეითთა ჩვენს ჯგუფში არის სამხედრო, რომელმაც 100-დე ქართული სიტყვა და რამდენიმე ათეული წინადადებაც კი იცის. ძალიან მეგობრული სიტუაციაა და ეს მისიის წარმატებაზეც აისახება. რაც აქ ვართ ბაგრამის საავიაციო ბაზა დაცულია“.

საუბრის ბოლოს 22-ე ბატალიონის მეთაურმა ავღანეთში მიღებულ გამოცდილებაზეც ისაუბრა. როგორც ვიცე-პოლკოვნიკი პაპავა აღნიშნავს, აქ მიღებული გამოცდილება უნიკალურია და ძალიან ღირებული.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა: „საბრძოლო კუთხით აქ მიღებული გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია. ჯარისკაცი ეჩვევა რისკს, რეალურ საფრთხეზე რეაგირებას. არის მობილიზებული, ყურადღებიანი, უწევს შიშის განცდის დაძლევა, ეს კი ფასდაუდებელი გამოცდილებაა. ასეთ გამოცდილებას მშვიდობიანობის დროს ვერ მიიღებ. მაგალითად, პატრულირებაში გადიხარ და მუდმივ მზადყოფნაში ხარ, რომ მოწინააღმდეგესთან კონტაქტზე რეაგირება მოახდინო. ჯარისკაცი კონკრეტულ ვითარებასა და სიტუაციაში საკუთარი თავის მართვას სწავლობს იგი გარკვეულ რეჟიმშია და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის პრინციპებს ეგუება. გარდა ამისა აქ მუშაობა და ოპერირება სხვადასხვა ქვეყნების სამხედროებთან გვიხდება. მაგალითად, როდესაც ჯგუფი პატრულში გადის მის შემადგენლობაში 5 სხვადასხვა სახეობის და ქვედანაყოფის წარმომადგენელია. აი ამ მრავალეროვნული და მრავალსახეობრივი დანაყოფის ხელმძღვანელობა უწევს ქართველ ოცეულის მეთაურს. ეს მისთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა“.

მისია ჯერ გრძელდება. ერთი თვეზე ნაკლები დარჩა და ახალი ქართული ქვედანაყოფი ეტაპობრივად გადაიბარებს ამ მისიას, თუმცა ამ დროისთვის 22-ე ბატალიონმა დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართვა თავი. ბაზა დაცულია და 22-ე ბატალიონის ჯარისკაცების კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი ყველასთვის ცნობილია.

ვიცე-პოლკოვნიკი თედორე პაპავა სამშობლოში ქვედანაყოფთან ერთად მალე დაბრუნდება. მას სამშობლოში მეუღლე და 10 წლის ნია ელოდება. მადლობა სამსახურისთვის.

p.s. ამ პუბლიკაციის მომზადება უკვე დასრულებული იყო, როდესაც 8 აპრილს ბაგრამის საავიაციო ბაზის სიახლოვეს ქართულ-ამერიკულ სამხედრო პატრულზე მოწინააღმდეგემ კომბინირებული იერიში მიიტანა. ქართველმა სამხედროებმა მოწინააღმდეგის შეტევა მოიგერიეს. თუმცა შემთხვევას სამი ამერიკელი საზღვაო ქვეითის სიცოცხლე შეეწირა

„ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ" საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ვაზიანში, IV მექანიზებულ ბრიგადაში სამხედრო მოსამსახურეებთან თემაზე - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ" საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. მიზანი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლებაა.

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვის და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფიო ჯაფარიძე და თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლები გაუძღვნენ.

საუბარი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოში არსებულ მდგომარეობას შეეხო. სოფიო ჯაფარიძემ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის, ასევე ამ კუთხით არსებული ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგიის შესახებ ისაუბრა. ნაჩვენები იყო ვიდეორგოლი, სადაც სამხედროები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას გმობენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სამხედროებთან შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში გაიმართა.

დღეისათვის ქალები საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა 8%-ს, ხოლო სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საჯარო მოხელეთა დაახლოებით 50%-ს წარმოადგენენ. ასევე, სამინისტროს საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა 34% ქალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის პირველი მოადგილე ქალია და იგი გენერალ-მაიორის წოდებას ატარებს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დღეისათვის სწავლობს 16 ქალი, ხოლო სამეთაურო საშტაბო კოლეჯში, რომელიც მაღალი რანგის ოფიცრებს (მაიორი და ვიცე-პოლკოვნიკი) ამზადებს, 4 ქალი.

დაღუპული ჯარისკაცების დედებს 3 მარტი შვილის მეგობრებმა მიუღოცეს

„გილოცავთ დედის დღეს! თქვენ ყველაზე ძლიერი და ღირსეული დედა ბრძანდებით, რადგან ჩვენი სამშობლოს დასაცავად ყველაზე ძვირფასი გაიღეთ. სწორედ თქვენი და თქვენნაირი ქალბატონების გმირობისა და გამძლეობის მაგალითია საქართველოს მთელი ისტორია"... - ასე მიულოცეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებსა თუ საერთაშორისო მისიებში დაღუპული ჯარისკაცების დედებს შვილის თანამებრძოლებმა დედის დღე.

დაღუპული სამხედროების მეგობრები მათ მშობლებს საქართველოს მასშტაბით ყველა ქალაქსა თუ სოფელში მოულოდნელად ესტუმრნენ და დედის დღის აღსანიშნავად სიმბოლურად ყვავილების თაიგული გადასცეს.

„ფორმიან ბიჭებს რომ გხედავთ, ჩემი შვილი მაგონდება"... - ასეთი იყო დაღუპული შვილების თანამებრძოლებთან თვალცრემლიანი დედების მისალმება. დედებმა ჯარისკაცებთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენეს დაღუპული შვილების გმირობა და სამხედროებს სამშობლოს სადარაჯოზე ღირსეული სამსახური უსურვეს.

საქართველო და ლიეტუვა კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას გააძლიერებენ

საქართველოსა და ლიეტუვას თავდაცვის მინისტრებმა კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ განზრახულობათა დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონია საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ლიეტუვას რესპუბლიკაში მიმდინარე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლიეტუვას ეროვნული კიბერუსაფრთხოების ცენტრში გაიმართა.

„ამ სფეროში, როგორც ნატომ, ისე მისმა პარტნიორმა ქვეყნებმა კიბერუსაფრთხოება აიყვანეს ოპერატიული განზომილების სივრცეში და ის, როგორც ხმელეთი და ზღვა, განიხილება ახალ ოპერატიულ განზომილებად. ჰიბრიდული საფრთხეებიდან გამომდინარე, ჩვენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას კიბერშემოტევების შედეგად შეიძლება გარკვეული საფრთხეები შეექმნას. ამ ინციდენტების პრევენციისა და მათზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, აუცილებელია ჩვენი ეროვნული ძალისხმევის გაძლიერება, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო სწავლებების ჩატარება", - განაცხადა ლევან იზორიამ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ.

გაფორმებული დოკუმენტი მიზნად ისახავს კაუნასის რეგიონალური კიბერთავდაცის ცენტრთან აქტიურ თანამშრომლობას, მხარეთა შორის გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი კიბერსწავლებების დაგეგმვა-აღსრულებასა და ძალისხმევის კონცენტრაციას ეროვნული და საერთაშორისო კიბერინციდენტების შემთხვევაში. აღნიშნული ასევე ემსახურება როგორც ზოგადად კიბერუსაფრთხოების სფეროს განმტკიცებასა და გაძლიერებას, ასევე საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სეგმენტის მეტ ინტეგრირებას ევროატლანტიკურ სივრცეში და ნატოსთან ურთიერთავსებადობის მაღალი სტანდარტის მიღწევას.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას ლიეტუვას ეროვნულ სწავლებაში Amber Mist 2019.

დუშეთში ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს ზურაბ იარაჯულის სახელი მიენიჭა

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე უსახელო მწვერვალს ზურაბ იარაჯულის სახელი მიენიჭა. აღნიშნულის შესახებ საქართველოს ეროვნული გმირის, მფრინავ ზურაბ იარაჯულის საიუბილეო ღონისძიებაზე თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა შალვა ჯაბახიძემ განაცხადა.

12 მარტს საქართველოს ეროვნულ გმირს, მფრინავ ზურაბ იარაჯულს 48 წელი შეუსრულდებოდა. ეროვნული გმირის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე თიანეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ზარიძეებს ესტუმრა. ბრიგადის გენერალმა ზურაბ იარაჯულის მემორიალი გვირგვინით შეამკო. მან გმირის სახელობის პარკში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ზურაბ იარაჯულის ღვაწლზე ისაუბრა და მისი ოჯახის წევრებს გადასცა საქართველოს რუკები, რომელზეც გმირის სახელობის მწვერვალის გეოგრაფიული კოორდინატებია დატანილი. თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ უწყების ტოპოგრაფიული სამსახურის თანამშრომლები დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

მოგვიანებით, ბრიგადის გენერალმა, სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, სკოლაში გადაინაცვლა, სადაც ზურაბ იარაჯულის მემორიალური გამოფენა დაათვალიერა. მან სკოლის წარმომადგენლებსაც გადასცა რუკები ზურაბ იარაჯულის სახელობის მწვერვალის გეოგრაფიული კოორდინატებით.

ღონისძიებას თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის სამხედრო მოსამსახურეები, ასევე ტოპოგრაფიული სამსახურის თანამშრომლები, რეგიონის ოფიციალური წარმომადგენლები და ადგილობრივი მაცხოვრებლები დაესწრნენ.
დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს თავდაცვის უწყების ინიციატივით ზურაბ იარაჯულის სახელი ახლახან მიენიჭა.

უსახელო მწვერვალი მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ფშავში, მწვერვალ დიდი ბორბალოს მიმდებარედ (გეოგრაფიული კოორდინატები: X-518493; - 4693900).

სამხედრო მფრინავი, ზურაბ იარაჯული აფხაზეთის ომში გმირულად დაიღუპა. 2013 წელს მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. უფროსი ლეიტენანტი იარაჯული, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

38 მედალი - დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მორიგი ნარმატება

პენდელტონის საზღვაო ქვეითთა ბაზაზე გამართულ შეჯიბრებებში დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებულმა 12-კაციანმა გუნდმა 38 მედალი მოიპოვა. 24 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით ჩატარებულ ტურნირში, რომელშიც 7 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი იყო ჩართული, ქართველმა სამხედროებმა სპორტის 8 სახეობაში წარმატებით იასპარეზეს, მათ შორის - მჯდომარე კალათბურთში, ცურვაში, სროლაში, მშვილდოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ეტლით სირბილში და ველოსპორტში. პარასპორტსმენებმა 20 - ოქროს, 10 - ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი აიღეს.

პარასპორტსმენებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დახვდნენ.
თავდაცვის მინისტრმა ქართველ სამხედროებს გამარჯვება პირადად მიულოცა. ლევან იზორიამ დაჭრილ და დაშავებულ სამხედროებს საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ასპარეზობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა. თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულ მებრძოლებს ფულადი ჯილდოც გადაეცემათ.

საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა ამერიკის საზღვაო ქვეითების ყოველწლიურ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა მეხუთედ მიიღეს. ქართველმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედროებმა „საზღვაო ქვეითთა“ თამაშებში გასულ წელსაც იასპარეზეს და საქართველოში 20 მედლით დაბრუნდნენ.